საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარეთო ყველა ქვეყანისა, შეერთდითო!

ორშაბათი, 21 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი დირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკეული ნომერი ექვლეგან 2 მანეთი, განცხადების ფასი: ... ველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, ჰეტიტის სტრიქონი ... მანეთი. სპეციალური განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის ბრ. № 24

ტელეფონი 16—62.

№ 214 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 214

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო და ქალი თამარა მამულაშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 21 სექტემბერს, დღითი, კვირას, 11 საათზე დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასი

არსენის (მამულაიშვილის)

სულის მოსახსენებლად. 2—2

მწუხარებით გულ მოკლული მშობლები: ... და ქეთევანი და ძმა ვლადიმერი მეუფეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 16 სექტემბერს უდროოდ გარდაი ... ოორის საყვარელი შვილი, ხოლო მესამის ძვირფასი ძმა

იულონ მუმულია

დასაფლავება 21 სექტემბერს ს. ფოცხოში (სენაკის მაზრა)

ილია სტეფანეს ძე თარგამაძე აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ განსვენებულ ძვირფასი მეუღლის

ნუცას

გარდაცვალების ერთი წლის თავზე, კვირას, 21 სექტემბერს, სოფელ კიბეჭერში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.

გულ-დათუთქული მშობლები. ვარვარა კიმოთეს ასული, თომა შიოს-ძე მაისურაძე, შვილებით, ბიძაშვილები: თეოფილე და ნესტორ მაისურაძენი, მეუღლე ნინო ელიზბარის ასული მაისურაძე, სიდედრი მარიამ ანდრიას ასული გოგაძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ შოშეს კატოკმა იმსხვერპლა პირველის იმედის მომცემი შვილი და უკანასკნელის ქმარი

ვასილ (ვასია) მაისურაძე

მიცვალებულს გამოსაეთხოვებელი მიხეილის საავადმყოფოდან კვირას, 21 სექტემბერს, დილის 9 საათზე და დასაფლავებენ წმინდა ნინოს ეკლესიაში.

მწუხარებაში მყოფნი შვილი გერონტი მინას ძე და რძალი ანნა ივანეს ასული კოლოსანია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, 21 ენკენისთვეს გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი დედის

ევროსინე (ფოცია) ნარიმანის ასული კილოსანიას

სულის მოსახსენებლად, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. დილის 11 საათზე.

ღრმად დაჩუხრებულნი: თამარი და შვილები მისი: გიორგი და მანია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლის და შვილის საყვარელი მამის

მიხეილ ესტატეს ძე თაყაიშვილის

40 დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, სექტემბრის 21, სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში.

ქ. სურამში, კვირას, 21 სექტემბერს, მუშათა ჟურ. „პროლეტარის" რედაქციის ფონდის გასაძლიერებლათ

გაიმართება დიდი საღამო

მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის, ახალგაზრდა პოეტები: ვ. რუხაძე, რ. ჯიბილა, ობოლი მუშა, მომღერალნი თფილისის კონსერვატორიის პროფესორი ენრიკო ბროგი და ვალერი ფეფარაძე, მუსიკოსი ილიკო ქურხული. (2—2)

ახალი წიგნი—იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

გალაკტიონ ტაბიძე:

ლექსები ტომი მეორე (1914—1919)

მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზ. „ერთობა".

წიგნის ფასი 25 მან.

კიდევ გადასახადებზე

დამფუძნებელმა კრებამ თავის მუშაობის პირველ თვეებშივე მიიღო გადასახადების კანონი, რომლითაც რესპუბლიკის ხაზინას შემოსავლის წყარო გაუჩინა.

დიდი აურ-ზაური დაბადა ამ კითხვამ. ქალაქში ბურჟუაზია ახმაურდა, სოფლათ გლეხობამ იუცხოვა. ჯერ კიდევ არ გამჯდარა მასსის ძვალსა და რბილში, თუ რას ნიშნავს დემოკრატია. ზოგს გონია, რომ ესაა ყოველი ვალდებულებისაგან განთავისუფლება. ნამდვილათ კი ესაა ხალხის მიერ თავის საქმეების გაძღოლა. ე. ი. ხალხის მიერ თავის მთავრობის შექმნა, თვითმართველობის დაწესება და მათი შენახვა. დაწესება ჩვენში ყველას მოეწონა—შენახვა კი არა. უფლება მიიღეს—მოვალეობაზე კი უარი განაცხადეს. ეხლა ეს არანორმალური მდგომარეობაა. მაგრამ ამ არანორმალურ მდგომარეობის შექმნაში ყველა ერთნაირათ დაინტერესებული არაა.

ბურჟუაზიამ, როგორც თფილისში, ისე პროვინციის სხვა ქალაქებში, ეს გადასახადი ჩვენი დემოკრატიული მართველობის საწინააღმდეგო ... თვის გამოიყენა, გლეხობის დიდი ნაწილი, მხოლოდ შეუჩვევლობისა და გაუგებრობის გამო, გაჯიუტდა გადასახადების გადებაზე. უმაღაყოფილო ელემენტებმა და ჩვენი ერის მოწინააღმდეგეებმა ამ გაუგებრობის კიდევ უფრო ხელი შეუწყვეს.

მაგრამ ჩვენი ხალხის სიღრმე ინსტინქტმა და შეგნებული ნაწილის ეურგიულმა მუშაობამ მაინც თავისი გზიტანა—ეს დაბრკოლებაც დაძლეულ იქნა. პირველათ ყოველისა აღსანიშნავია, რომ გატყდა თფილისის ვაჭარ მრეწველთა კლასი.

დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, ყველა შეძლებისდაგვარათ იქნეს დაბეგრილი. ბურჟუაზიას და საერთოთ შეძლებულ წრეებს ამიტომ შედარებით მეტი გადასახადი შეეწერა, ვინემ გლეხობას. კერძოთ თფილისს ერთი მეორეზე—300 მილიონი უწევს წელს გადასახდელი საქალაქო და სახელმწიფო გადასახადები. მთელ სოფელს კი, სადაც თფილისზე 10 ჯერ მეტი მცხოვრებლებია, ამის მესამედიც არ შეხვდება გადასახდელათ. ამიტომ ქალაქი ყველაზე მეტს ჯიუტობდა. ეს გადასახადი, მათი აზრით, სპობდა წარმოებას, აპარტახებდა ქალაქს, გაალიერებდა თფილისს, და ... კეტდა წარმოებას ერთი სიტვით უდაბნოს გვიქადდა გაშენებული თფილისის ადგილას.

განსაკუთრებით უარყოფით შეეგებენ სანიტარულ ერთიანულ გადასახადს, რომელმაც ვაჭართაგან 52 მილიონის გაღება მოითხოვა.

მაგრამ ახლა ... ეს გატყდა მათი შეუდრეკელობა, დღეს უკვე ამ გადასახადს ინაწილებენ და თან მადლობით იხსენიებენ ქალაქის თავს და შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელმაც მათთვის ბევრი გააკეთა.

აქედან ერთი აშკარაა: გადასახადები, დამფუძნებელ კრების მიერ შემოღებული, შედარებით სამართლიანათაა გაწესებული. იგი ცვლილებათ აწვება შეძლებულს და არა ღარიბს.

და მისი გადახდა ყველას ადვილათ შეუძლია ისე, რომ არც მეწარმეობა დაეტგბოს, არც წარმოება შეეჩერდეს, არც ... ეკონომიური დაეტრიალდეს,

ჩვენი ... ბესტაცობაც, რომელსაც გადასახადი მცირედი აქვს შედარებით ქალაქთან, ... ბონების მოპოვება, სოფლის ... ნაწარმოებთა სიძვირის გამო, არ ... ადვილათ აიტანს ამ ბეგარას.

უნდა ... ისიც, რომ ეს ახალი გადასახადები, ფულის კურსის მიხედვით თუ ... ბეგარაშებთან, ძველ გადასახადების ... საც არ შეადგენს. და ეს ... უნდა ... ფილიყო. დემოკრატიაში ... შეიტანათი უნდა მისცე მოდა და ... ეც.

მაგრამ ეს შეიტანათი ავალებს სოფელს ... ინილ გადასახადის პირნათლად შემოტანას.

მის მიერ ... ამ მოვალეობით ... ბაზეა ... ული კეთილდღეობა ... ბლიკის.

ჩვენ ... ეს გვაქვს, რომ ეროვნები და ... ვენ ... ხალხის ... ნიერი ... ბარეობით ... ნორმალური ... ტიკის აღდგენისაკენ ... ნიჯის გადადგმას.

დამფუძნებელი კრება

დამფ. კრების პირველ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. ზ. რამიშვილმა გააცნო დეპუტატებს ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ამ ბოლო დროს რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებაში.

მან არ ... ამ მდგომარეობის გართულება ... ან ... ჭდან მოსალოდნელი საფრთხე, ... ყველა იმ ზომებს, რომელიც ... მიეღიათ, ან აპირებენ მიღებას ... ულებრივი სიმტკიცით განაცხადა, ... ობა შესძლებს ამ საფრ... ულავებას და ახალი ... ბა ... ჯვებული გამოვა.

მინისტრმა ... ვალი ისეთი ცნობები მიაწოდა სხდომას, რომელიც ნათლათ მოწმობენ, თუ რა იერიში მოაქვთ რესპ... ბლიკა ... ინააღმდეგ ჩვენს დაუძინებელ ... ებს და რა საშიშროებას მიმართავენ ... ს დასამხობათ.

... ამ ... ოორის დღეს ყველაზე მეტ აქტიურობას იჩენენ კომუნისტები. ჩვენ დიდი ხანია ... ცოდით, თუ როგორ ... ელ ... ებს ბოლშევიკები, როგორ ... ლობენ რესპუბლიკის დამხობას ... ის ... ალაქო ომში გახვევას, მარ... თუ ... ოთი თავხედობა აქამდის მივიდოდა—ეს ... ბევრს არა სჯეროდა. ... ბარათოვზე თავდასხმა—ამ ... უმწვერვალესი გამოხატ... ება.

ბ... ოვზე თავდასხმით კომუნისტები ... ახავდენ. პირველი—გაემ... ... ებათ ... ამოკიდებულება მოხალ... ... ართან ... ა მისი წარმომადგენელ... ... ათთან ომში ჩაება რესპ... ... ბ საბჭოთა რუსეთი-სათვ... ... ობა შეიმუბუქებინა. მეორ... ... ემტკიცებათ საბაგო კონფერენციათ, რომ საქართველოს არ შეუძლია ... ამოუკიდებლათ არსებობა, ... ეს შეძლებს თავის თავის პატრონობას, მთავრობა სუსტია, მძვინვარებს ... ნარქია, ... ება მკვლელობა, ყაჩაღობა და ... ეთი საშინელებანი. ყოველივე ... ალ, ... ეკვირვილია, შედეგათ ... ,ბ... ,ათი აზრით, ჩვენი საერ... ... ,ბ... ,ოობის გაუარესება ... ლებ... ,ბ... ,ოობა ... ,ბ... ,ოობ... ,ბ... ,ოობ... ,ბ... ,ოობ

ᲓᲦᲔᲡ

პომერანიაში მოსალოდნელია საგანგებო გაფიცვები. ვალდენბურგში, სილეზიაში სურსათის სიძვირის გამო არეულობა მოხდა.

ზემო-სილეზიაში მიღებულ ცნობებით, პოლონელებში ახალ შეტევას ამზადებენ.

ბალშევიკებმა ბრძოლით ქ. ეკატერინინი აიღეს. ჩერნიგოვის რაიონში ქ. ნეჟინის ხელში ჩასაგდებად ბრძოლაა.

ყუბანში ხდება საოლქო რადის არჩევნები.

ლონდონში მყოფმა უკრაინის დელეგაციამ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი მიმართა დენიკინის სურვილის გამო, როდესაც სურს უკრაინა შეიერთოს.

ერთი დღის ძარცვა გლეჯის შემდეგ თვით ქალაქში, პირი იბრუნა ბაკურიანისკენ. ქართველი რაზმი მაშინ ხიზა ბავრა საროზეთვის—ჯავაშენის ხაზზე იდგა და როცა მივიღეთ პირველათ ცნობა, რომ ახალქალაქი დასტოვა სომხის ჯარმა, რაზმმა გამოყო ერთი ნაწილი, რომ უკან დახეული სომხის ჯარი შეეჩერებინა. ეს ასეც მოხდა. სომხურ პოლკის ერთი ნაწილი ქართულმა რაზმმა აიძულა კვლავ ქალაქში დაბრუნებულიყო, ხოლო რაც შემდეგ მათუმის ზავის პირობებით ახალქალაქი ოსმალეთს გადაეცა, ქართველ მოხალისეთა რაზმი გამოყვა მცველათ მაზრიდან დაძრულ მცხოვრებთ. ეი სინამდვილე და არა ის, თითქო ქართულმა ნაწილებმა პირველმა დასტოვეს მაზრა. მე ვამტკიცებ, რომ სომხურ რეგულიარულ პოლკს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალქალაქის დაშნაკელთა ნაციონალური საბჭო, ერთხელაც არ ჰქონიათ შეტაკება მტერთან, მარა დაშნაკელებმა ამის ნაცვლად მოაწყვეს ერთი უდიდესი საშინელება, რომელიც არავითარ შემთხვევაში დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. ამისთვის თვით სომხის ხალხმა უნდა გაასამართლოს დაშნაკელები.

ოსტრეგოვი პროვოკაციას ეწევა, როცა ამბობს, თითქო ჯავახეთის სომხებსა და ქართველებს შორის სისხლის ღვრა, ან რაიმე უთანხმოება მომხდარიყვეს. ის ვერ დამისახელებს ვერც ერთ ფაქტს, რომელიც შეეხებოდეს სომეხ ქართველთა გართულებულ დამოკიდებულებას ამ მაზრაში. მარა ძალის თავი სულ სხვაგან მარხია, დაშნაკელებს სურთ თავისი ცოდვები სხვის ნამოქმედარათ გაასაღონ და ამისთვის ეს ერთი წელია არავითარ ზომებს არ ერიდებიან.

საქმე შემდეგში: ოსმალების შემოსევის წინ ჯავახეთში ბატონობდა დაშნაკელთა სომხური ნაციონალური საბჭო, რომლის განკარგულებაში იყო მთელი შეიარაღებული ძალა. და აი, ის უთანხმოება, რომელზედაც ლაპარაკობს ოსტრეგოვი და ამის მიზეზათ ურცხვათ ჩვენ გვასახელებს, დაიწყო სწორეთ მაშინ, როცა სომხურმა დაშნაკურმა ნაციონალურმა საბჭომ განკარგულება მოახდინა რათა უსულ ხეჩოს ზინვორებს იარაღი ეყარათ მუსლიმანთა სოფ. გოკიოსთვის. როცა უსულ ხეჩოს ქვეითა ბანდამ სოფელს ვერა დაიკლო, მაშინ ახალქალაქიდან იმავე ეროვნული საბჭოს განკარგულებით გაგზავნილ იქნა არტილერია და სოფელი გაანადგურეს 4 მარტს, 1918 წელს. მკითხველებს ალბათ ახსოვთ არტაანის სისხლის ღვრა, რომელიც მოხდა 18 მარტს და მე ვამტკიცებ, რომ ეს სისხლის ღვრა მოხდა სწორეთ მაშინ, როცა არტაანში მივიდნენ სოფ. გოკოდან გაქცეული მუსლიმანები, რომელთაც გადაუწვეს სახლ-კარი და ამოუწყვიტეს ცოლშვილი. აქედან დაიწყო სისხლიანი დღეები ჯავახეთში და შემდეგ გადავიდა არტაანშიაც. ამას მოყვა იმავე ნაციონალური საბჭოს განკარგულებით ტყვეთ გამოცხადება ბოსბეული და თოკელი მუსლიმანების, რომელთა წამება ახალქალაქში გრძელდებოდა მთელი თვე, ხოლო როცა სომხურმა პოლკმა დასტოვა ახალქალაქი, დაშნაკელთა ზინვორებმა გამოიყვანეს ტყვე მუსლიმანები ციხიდან და ახალქალაქის ქუჩებზე მოკვეთეს თავები, ეს შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მაზრის მცხოვრებთ და როცა გამოირკვა, რომ მაზრა ზავის პირობებით რჩებოდა ოსმალეთს, მცხოვრებნი დაიძრენ ადგილებიდან. ამა ვინ მოიცდიდა ამ სისხლიანი დღეების შემდეგ, ვინაიდან ყველას შიშს გვრიდა შურისძიება, რომლის დროშით არტაანის მხრიდან მოიწევდენ ოსმალები.

ეხლა გეკითხებით ოსტრეგოვო და სომხის ხალხის ჯალათებო, ვის აქვს გასვრილი ხელი ჯავახეთის სომხების სისხლში, ვინ გაანადგურა ეს ხალხი?

ოსტრეგოვი განაგრძობს და ამბობს, რომ ბაკურიანის და წალკის რაიონებში სომხის ლტოლვილები შიმშილისაგან წყდებოდენ. დიახ, ვამბობთ, რომ ბევრი ლტოლვილი იღუპებოდა, მარა რათ ეწევით პროვოკაციას, თით ქოს მარტო სომხები კვდებოდენ? განა ჯავახელი ქართველები არ დაიღუპენ მათთან ერთად? განა ბაკურიანის ტყეებში არ გაეთხარათ საფლავი უკანასკნელ ჯავახელებს? მარა გვითხარით, სად იყვნენ ლტოლვილები უკეთეს მდგომარეობაში? საქართველოს მთავრობა, რომელიც მაშინ ალყა შემორტყმული იყო მტრებით, მათ ეგზავნიდა სურსათს, აძლევდა დახმარებას, მარა იმდენს, რამდენიც შეეძლო, ომში დაჭრილებულ და შინ ნარჩენით მოცულ მხარეს თქვენ კი სად იყავით? სად იყვნენ დაშნაკელთა ახალქალაქის ნაციონალისტურ საბჭოს მოღვაწენი: მარკარიანი, ალიხანიანი, ჰაერო და ძმანნი მათნი? ეს მოღალატენი, რომლებმაც მოსრეს და დაანგრიეს თავის სისხლის ღვრის პოლიტიკით ჯავახეთი, დღესაც სომხეთის მთავრობის სამსახურში არიან და თავის აგენტებს გზავნიან ჯავახეთში კვლავ შფოთვის და შეულის გამოსაწვევათ.

ან გვითხარით, როგორ მდგომარეობაში იყვნენ მაშინ ლტოლვილები სომხეთში? თქვენ გაჰყვირით, პროვოკატორებო, საქართველოზე და ის კი არ გინდათ თქვათ, რომ დაშნაკელთა წყალობით ამ ხანებში სომხის ხალხის თავშესაფარი ერთად-ერთი საქართველო იყო, თვით სომხეთიც კი მაშინ დათუნსურთ ებლაც, ულუკმაპურობთ სწყვეტდა იმ ლტოლვილებს, რომელნიც თქვენმა პოლიტიკამ გადმოხვეწა ოსმალეთიდან და საფლავი ერევნის მიდამოებში გაეთხარა.

ეხლა გადავიდეთ დღევანდელ მდგომარეობაზე. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ჯავახეთი კრიტიკულ მდგომარეობაშია, არც იმას ვამტკიცებთ, რომ ყველაფერი მოწყობილია. მარა განა შეიძლება საუკუნის განმავლობაში აშენებული ცხოვრების ნანგრევები თვეების განმავლობაში აღდგენილ იქნეს? იასტრებოვს ალბათ ახსოვს ბისმარკის ღვრა ბუმბერში ოსმალეთის და ადგილობრივ სომეხთა შორის სურსათის ნაკლებობის ნიადაგზე. ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი ჯავახეთში? არა, არ ჰქონია. ჯავახეთში მიდის სისტემატიურად სურსათი, თუმც, რა საკვირველია, არა იმდენი, რამდენიც საჭიროა, მარა ამ ერამდე ახალქალაქში ჩამოვიანქა პური ღირს 5 მანეთი, ხოლო მეორე 2 მ. 50 კ.—3 მ.—3 მ. 50 კ. აქედან აშკარაა, რომ ჯავახეთში არც ისეთი საშინელი მდგომარეობაა, როგორც ამას ხატავს იასტრებოვი.

ლაპარაკია ადმინისტრაციის უფლებებზე და მძარცველობაზე, მარა დაგვიახელონ ფაქტები, ფაქტიური ფაქტები. საწუხაროთ, დღეს ხშირათ ლაპარაკობენ ადმინისტრაციის მძარცველობაზე, სულ ადვილია ვისმესთვის ჩირქის მოცხება და მეტროამის წოდება, მარა მიბრძანდით ჯავახეთში, ნახეთ იქაური ადმინისტრაცია და შეადარეთ ის სომეხეთის ადმინისტრაციას, გამოიკვლიეთ რამდენი მძარცველობა, რამდენი მეტრთამეობა ხდება სომეხეთის ჯავახეთთან მოსაზღვრე რაიონებში და შეადარეთ ის ჯავახეთის მდგომარეობას. საქართველოს მთავრობამ მილიონები დახარჯა ჯავახეთზე, სისტემატიურათ გზავნის ის სურსათს და ეხლა კი განზრახულია მოაწყოს მინდვრების დათესვა, რისთვისაც საჭიროა სათანადო უწყება უკვე შეუდგა. ჩვენ არ ვყვირით, რომ ამდენს და ამდენს ვგზავნით ჯავახეთში, მარა თუ ასე თუ ისე იკვებება ჯავახეთი, ეს ისევ საქართველოს მთავრობის მუყაითობით. დაშნაკელები კი სენსაციის ხალხია. დღეს დაყრიან ხმებს, რომ ინგლისელები მოდიან და მილიონი ფუთი ფქვილი მოაქვთ, ხვალ, ამერიკელების იმედი აქვთ, ზეგ ეფრენენ დეპეშას, რომ სომეხეთის მთავრობა 10 მილიონს უგზავნის ჯავახეთის სომხებს. მარა ბატონო რომ მათი იმედით დარჩენილიყო, მაშინ ოსტრებოვი ალბათ მეტ ცრემლებს დადვრიდა და სომხების სრულ განადგურებას მაინც ჩვენ დაგვაბრალებდა, ხოლო ჩალხუშიანი მორიგ ჰორს გაავრცელებდა ევროპაში ამ სათაურით „ახალქალაქის სომეხთა ამოქლეტა ქართველების მიერ“.

ყველა ამის შემდეგ დაშნაკელებს უკვირა, რომ არჩევნებში დამარცხდენ და გაიძახიან: „არჩევნები ბევრგან გაგვიუქმეს, გვდევნიდენ, მარა მაინც ხმები მიიკიეთო“. უნდა განვაცხადო, რომ არც ერთი ყუთი კომისიას ახალქალაქის მაზრაში არ გაუუქმებია, არჩევნების დროს არც ერთ კომისიას ძალდატანება არ აღუნიშნავს, მარა შედეგი კი მაინც ასეთია: სოც.-დემოკრატებმა მიიღეს 13 ათასამდე, დაშნაკელებმა კი სადაო და უდაო ბმები 8 ათასი.

ეხლა ვეკითხოთ, ვის ეკუთვნის ბრალი და ვის შესტკივა მასზე გული? ცხადია საქართველოს, ვინაიდან საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი კაცი, რომ ჯავახეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილათ არ მიიჩნიდეს. და ეს გარკვევით დაისვა არჩევნების დროს, როცა წამოყენებული იქნა ლოზუნგი: „საქართველო თუ სომეხეთი?“

და ამ ბრძოლაში ბრწყინვალეთ გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის პარტიამ. ხალხმა კარგათ დააფასა ის მოღალატური სამსახური, რომელიც დაშნაკელებმა გაუწიეს ჯავახეთს. თუ სოციალ დემოკრატიის ხმებს მიუმატებთ საქართველოს პარტიების დანარჩენ ხმებს, მაშინ ხმების რაოდენობა 16 ათასამდე გაიზრდება და ასე ორი მესამედი მცხოვრებთა მაინც საქართველოსთან განწყობილობის ლოზუნგს ქვეშ დადგა. ეს აწუხებთ ეხლა დაშნაკელებს და თავის ძველ პროვოკაციულ ჭორებს მოაყენენ, „საბოგადოებრივ აზრს ქმნიან“.

დასასრულ მინდა ვეკითხო, რათ არ მიეცა მსვლელობა ახალქალაქის სისხლიან დღეების საქმეს, რათ არ დაიჭა დამნაშავენი? ეს კი სიმართლის გამოსარკვევათ აუცილებელია, და მთელმა ქვეყანამ ვიგოს ვინ არიან ლომის ხალხის მესაფლავენი და ვინ შექმნა ის ტრაგედია, რომელზედაც დღეს ასე უაზრათ გაავრცელეს დაშნაკელები.

ახალციხელი.

დამფუძნებელი კრება

19 სექტემბრის სხდომა

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

სხდომას დიდძალი გერეში საზოგადოება დაესწრო: ქანდარა ხალხით გაჭედილი იყო. სხდომას დაესწრენ ინგლისის წარმომადგენელი ოლივერ ფორდტროპი და აჭარის წარმომადგენელნი ზია ბეგ აბაშიძის მეთაურობით.

სხდომის თითქმის ყველა დეპუტატები დაესწრენ. მთავრობის წარმომადგენელნიც უკლებლივ იყვნენ.

სამანდატო კომისიის შესახებ მოხსენებას აკეთებს **გრ. ურატაძე.** რომელიც აღნიშნავს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დავალებული ჰქონდა ექსპერტიზის განმავლობაში არჩევნები შეეტანა ყველა ამ ადგილებში, რომელშიც წინეთ არ მოხდა. კომისიამ ეს დავალება შეასრულა და არჩევნები მოხდა ყველა ადგილებში, გარდა აფხაზეთისა. აფხაზეთში კი განსაკუთრებული მდგომარეობისა გამო დამფუძნებელი კრების ნებართვით არჩევნები გადადებულ იქნა კიდევ 6 თვით. ცენტ. საარჩ. კომისიამ განიხილა ყველა მასალები და არჩევნები დაადასტურა გარდა ბოლნის ხაჩინისა. ბოლნის ხაჩინში კი ყუთი ორ ადგილას აღმოჩენილა გაჭრილი, შიგ სხვადასხვა კონვერტები და სხ. ეს არჩევნები ცენტ. კომისიამ უკანონოთ იცნო და სამანდატო კომისიაც დეთანხმა ამაში. დანარჩენი არჩევნები სამანდატო კომისიამ დაადასტურა.

სულ კანონიერი ხმა დამატებითი არჩევნებისა არის 87,369—ეს ხმები დამატა საერთო ჯამს და სულ შეადგინა 592,856 ხმა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით არჩევნებში ხალხმა მბურველ მონაწილეობა მიიღო. სულ 57 პროცენტმა. წინანდელ მეტრი 3749—გადიდდა. ახალი მეტრია 4,429. სოც. დემოკრატიულმა პარტიამ დაკარგა 4 ადგილი, ეროვნულ დემოკრატებმა ერთი ადგილი. სოც. რევოლიუციონერებმა შეინარჩუნეს თავისი 5 ადგილი. დაშნაკცუტიუნის პარტიამ გაიყვანა სამი დეპუტატი: ზორიანი, ავეტისიანი და დავიდბანიანი, სოც. ფედერალისტებმა შეიძინეს ერთი ადგილი, რომელიც დაკავდა ს. დადიანმა. დამოუკიდებელ ნაც. დემოკრატებმა გაიყვანეს ერთი დეპუტატი: გრ. ვეშაპელი და დარჩათ ნაშთი 4,407 ხმა.

ამ ხმებში არ არის ჩათვლილი წინანდელი სადაო ხმები: დუშეთისა და წყნეთისა, რომლებიც განსაჩივრებული იყო და ჯერ სავსებით არ არის გამოკვეული. ამ რიგათ დამფ. კრებიდან სოც. დემ. გამოდიან: ვადაჭკორია, სირბილაძე, ირემაშვილი და ოლოლა სოლოლაშვილი.

ყველა ეს არჩევნები სამანდატო კომისიამ დაამტკიცა და წარმოგიდგინათ თქვენ დასამტკიცებლათ.

დამფუძნებელმა კრებამ სამანდატო კომისიის მოხსენება დაამტკიცა.

რ. არსენაძის განცხადებით დღის წესრიგიდან მოიხსნა საკითხი სენატორების არჩევისა, რადგანაც იურიდიულ კომისიას კანდიდატების სიის გამომუშავება ჯერ არ დაუმთავრებია.

განსაბილველია დეკრეტი რკინის გზის გენერალ გუბერნატორისათვის სახელმწიფო ბაზინიდან 100,000 მან. მიცემისა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად და რკინის გზაზე არსებულ სამგზავრო მატარებლებში მცველთა რიცხვის გადიდება 250 კაცით და მათ შესანახათ სამი თვის განმავლობაში 738,833 მან. 40 კ. კრედიტის გახსნა სახელმწიფო ხაზინიდან.

მომხსენებელი ივ. ჯავახიძე აღნიშნავს იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა რკინის გზაზე და ამბობს: რკინის გზაზე ამ უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ძლიერ გახშირდა მატარებლებზე თავდასხმა, რომელმაც წმინდა ორგანიზაციული ხასიათი მიიღო. აშკარაა ასეთი მდგომარეობა დიდ პანიკას იწვევს ხალხში, მგზავრებს ეშინით მგზავრობის. ასეთ ანარქიულ [illegible] ოლენას დიდი ყურადღება მიექცია [illegible] და მიიღო ასეთი თავდასხ[illegible] მთავრობ[illegible] სათანადო ზომები. [illegible]ების წინააღმდეგ [illegible] მგზავრო მატარ[illegible] ერთი ზომათაგანია [illegible] რებლებში მცველთა რიცხვის გაძლიერება ამისათვის კი საჭიროა დამფუძნებელმა კრებამ გადადოს საჭირო თანხა.

თავმჯდომარე ნება მომეცით, მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო, თქვენი ყურადღება ცოტა ხანით მოვაბრუნო ამ მოხსენებას და თქვენის სახელით სალამით მიმართო ჩვენთვის პატივსაცემ და ძვირფას სტუმარს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს ბ. ოლივერ ფორდროპს (მხურვალე ტაში და ოვაციები). ჩვენი მეგობარი, როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე შინაურ საქმეებში ყველასათვის აშკარა და ნათელი იყო. ჩვენ არა გრთხელ გვითქვამს და დღესაც ვიტყვებთ ძვირფასი სტუმრის მოსვლით. ერთხელ კიდევ ვიმეორებ: პატარა საქართველოს, მის ხალხს, დემოკრატიას არავინ სთვის არასოდეს არაფერი არ დაუშავებია. მას მუდამ სწყუროდა და დღესაც სწყურია ერთი რამ: რას სწყურია ის მონაპოვარი რუსეთის დიდი რევოლიუციისა, რომელთაც აქ შეირჩინეს თავიანთი არსებობა, ეს მონაპოვარი ჩვენს ხალხს უნდა განამტკიცოს ერთ დიდ და ურყეველ საფუძველზე—საქართველოს სუვერენობის დამოუკიდებლობის საფუძველზე (მხურვალე ტაში). ამ რევოლიუციამ გარდა სხვა ბევრი საკითხებისა, წამოაყენა ერთი დიდი ლოზუნგი: საქართველოს ერმა ამ დიდი რევოლიუციით განახორციელა ერთა თვითგამორკვევა, მას სურს შეინარჩუნოს და განამტკიცოს ის დამოუკიდებლობა, რომლითაც ის გამოეცალა ჩრდილოეთის ანარქიას. ის დამოუკიდებელი გახდა ანარქიისაგან და სურს დამოუკიდებელი იყოს იმ შავი რეაქციისაგანაც, რომელიც ჩრდილოეთიდან გვემუქრება. მას უნდა თავისი ხალხის ბედი თვითონვე გამოსჭედოს და ის შეაყენოს სწორ და ნამდვილ გზაზე ეს არის გზა,—ევროპის ცივილიზაციის, კულტურის ჩვენში გადმონერგვის და და ჩვენი პატარა საქართველოს ხალხის ევროპის ხალხთა ოჯახში შეყვანისა.

მას სურს ის კულტურა, რომელიც მიუღია მას საუკუნეთა განმავლობაში და დღემდე შეუნარჩუნებია, განავითაროს, გაალვიძოს ლა მთ პატარა ხალხი მიუძღვნას ევროპის დემოკრატიას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერის თვის საუკეთესო საქმის კეთებაში ჩვენი დამხმარე იქნება ყველა ის, ვისთვისაც ძვირფასია ერთა ცივთგამორკვევის საქმე, ერის ბედნიერება, ანარქიის და რეაქციის დათრგუნვა.

ჩვენი სალამი დიდ ბრიტანეთს და მის წარმომადგენელს ჩვენ დარწმუნებული ვართ, და ამის საბუთიც გვაქვს, რომ დიდი ბრიტანეთი დიდი ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობა ჩვენს დამოკიდებლობას და ის ფაქტი, რომ ჩვენ ბრიტანეთის წარმომადგენლად მოგვეკლინა ბ. ოლივერ ფორდროპი, ბევრ რეს გველაპარაკება. დიდ ბრიტანეთს უნდა, რომ ამ ბნელ აზიაში მდებარეპატარა საქართველო აყვავდეს, გაითარდეს, მას დეხმარება დიდი ბრიტანეთი და ჩვენ ვიცით თუ რას ნიშნავ მისი დახმარება. გულითადი სალი ბრიტანეთის წარმომადგენელ ბ. ოლივერ ფორდროპს (ტაში და ოვაციები), სალამი დიდი ბრიტანეთს (ტაში). გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, რომელიც დიდ-ბრიტანეთისა და სხვა ევროპის სახელმწიფოებთან თანად დამოუკიდებლათ თავს გადაჩენს. (ტაში).

შემდეგ ის მიესალმა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლის დელეგაციას ზია ბეგ აბაშიძის მეთაურობით, რომელსაც დამფუძნებელი კრ ტაშის ცემით შეხვდა.

(დასასრული ება)

უკანასკნელი ნოგეგი

ადერბეიჯანის მთავრ. გადადგომა.

ადერბეიჯანის პარლამენტში წაკითხულ იქნა მთავრობისთავმჯდომარის ნ. უსუბეკოვის წერილი მთავრობის გადადგომის შესახებ. პარლამენტმა მისი გადადგომა მიიღო. ორიც ხმები დადის, ახალი კაბინეტი დაგენა დაევალება კვლავ უსუბეკოვსახალ კაბინეტში შევლენ „მუსავატ „იტტიხადის“ და პარტიათა წარმომადგენლები. სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლებს მთავრობაში ეი არ მიეცემათ.

აჯანყება ყენეთში.

ჩრდილო კავკასიან ჩამოსული მგზავრების გადმოთ, აჯანყებულ ჩეჩნების მიერ აყრია რკინის გზის ლიანდაგი გუდერგროზნის შუა.

აჯანყება ესტონეთში.

ამ უკანასკნელ ლებში აჯანყებულ მთიელთა საწინააღმდეგოთ გაგზავნილ იქნა ყაზახთა რაზ. ბრძოლა მოხდა დაშლაგარიდან ბელისის სიშორეზე. მთიელებმა ხელოვნურ ბრძოლაში სრულიად გაანადგურეს ყაზაკთა რაზმები (გადარჩა [illegible]ოდ 10 კაცი), ხელთ იგდეს 28 ტყვე[illegible]ბრალ[illegible]ველი, მრავალი ვინტოვკა, ყუმ[illegible]ბი და პატრონები. 100 კაცისაგან[illegible]ადგარმა ყაზახთა რაზმა თავი შეაბა გუნიბის სიმაგრეს, მათ მიემატა ახალი ძალებიც. მთიელებმა დაშლაგარის რაზმის განადგურების შემდეგ აიღეს გუნიბი და ხელთ იგდეს 9 ზარბაზანი, რამოდენიმე ტყვიის მფრქვეველი, ყუმბარები და პატრონები. გუნიბში მთიელებმა ამოსწყვიტეს 400 კაცისაგან შემდგარი ყაზახთა რაზმი (გადარჩა მხოლოდ 15 კაცი, რომელიც ტყვეთ იქნა წაყვანილი).

გუნიბ ს აღების შემდეგ მთიელებმა დაიპირეს სოფ. დუუგ-ჩუტაი და ტემირ ხანშურა. პეტროვსკ-დერბენტის რკინის გზის ლიანდაგი აყრილია. ესეთი ამ ერამდე მდგომარეობა შუა დაღესტანში, რომელიც გაწმენდილია მოხალ ლეებისაგან.

რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს დაღესტნისას იქაც მოხალისეთა მდგომარეობა კრიტიკულია. რკინის გზის ლიანდაგი სადგ. იალამიდან დერბენტამდე მთიელთა ხელშია. ამ ერამათ დერბენტში იმყოფება ხოლოდ 200 ყაზახი, რომლებსაც აქვთ 2 ზარბაზანი და გამაგრებულნი არიან სანაპირო ზარბაზნების და გემების საშუალებით. პეტროვსკი და დერბენტი ჯერ კიდევ მოხალისეთა ხელშია, დანარჩენი დაღესტანი მათგან განთავისუფლებულია.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 სექტემბერი.

ბალშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ენკ. 19. სამხედრო ცნობა. ენკ 19. ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. მოწინავე ნაწილებმა დვინის მარჯვენა ნაპირზე, მდ. ვაგის შესართავთან 10 ვერ. სოფ. კონდრატოვსკოე დაიპირეს. დასავლეთის ფრონტი. ფინეთის ყურეში მტრის ჰ ეროპლანები კრონშტადტზე ისევ გამოჩდნენ და ყუმბარები ჩამოყარეს. მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოგდეთ. ლუგის და გდოვის მიმართულებით ბრძოლა. გდოვის სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერ. ჩვენ სოფლები დავიპირეთ. დასავლეთ დვინის რაიონში ჩვენი ჰაეროპლანი მტრის 3 ჰაეროპლანთან იბრძოდა და ბრძოლის შემდეგ ერთი ძირს ჩამოადგო. ჰლოკაკის რაიონში ვილეიკის მიმართულებით ლეპელის ჩრდილოეთ დასავლეთით ჩვენი ჯარი ახალი პოზიციებისაკენ იხევს. ბორისოვის მიმართ. ბორისოვის გარშემო ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ტყვეები წამოიყვანა. სარნის მიმართ. ოლევსკთან ჩვენი ჯარი იბრძვის. ოლევსკი ხელიდან ხელში გადადის. ჟიტომირის მიმართულებით ჩვენი ჯარი უკრაინის სამხრეთ ნაწილიდან მოსულ რაზმს შეუერთდა და ქ. ჟიტომირი ივლო. ჩვენმა სამხრეთის რაზმმა 3 კვირის განმავლობაში 300—400 ვერსი გაიარა, გზა და გზა მან დაამარცხა მტერი, წამოიყვანა ტყვეები, ხელში ჩაიგდო ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა სამხედრო მასალა, რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჩერნიგოვის რაიონში ნეჟინის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა.

სამხრეთის ფრონტი. სუმის მიმართულებით ფოროგბას ჩრდილოეთით ბრძოლაა, აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა კორენევო დასტოვა. სუჯის მიმართ. ჩრდილოეთით 15 ვერსზე ბრძოლაა. კურსკის რაიონში, ვურსკიდან სამხრეთით 10—15 ვერსზე ბრძოლაა. ვალუიკის მიმართულებით ჩვენ ბირიუჩი დავსტოვეთ. დონის მაზრაში ტრეხოსტროვთან ჩვენი ჯარი მტერმა შეავიწროვა. აღმოსავლეთის ფრონტი. იმიმის რაიონში რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა 50 ვერსით დაიხია. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება. ეკატერინბურგი, ენკ. 18. „ლატვიას-სიბრგო“-ს ცნობით კურლიანდიიდან გერმანელთა რეგულიარული ჯარი მიდის. რკინის დივიზიამ განაცხადა, რომ ის ლატვიაში დარჩება, სანამ მათ მოთხოვნილებებს არ დაკმაყოფილებენ. რკინის დივიზიაში დისციპლინა სრულიად დაეცა. შავლის რაიონში ჯარისკაცებმა თავისი ოფიცრები დაჭაპტიმრეს. ბელოსტროკი, ენკ. 18. „დეილი-ნიუ“-ს ცნობით ლონდონში მყოფმა უკრაინის დელეგაციამ მიმართა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტით, დენიკინის სურვილის გამო, რომელსაც სურს უკრაინა შემოიერთოს.

ორენბურგი. ენკ. 18. ყუბანში საოლქო რადის არჩევნების გამო გაძლიერებული პროპაგანდა სწარმოებს. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება დენიკინის მიმართ ოპოზიციონერია. ეენშევიკები და მემარჯვენე ესერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საარჩევნო მზადებაში და თავისი სიები წარმოადგინეს.

ფრანგული პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ბულგარეთის დელეგაციას პარისკევს გადაეცემა. გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში.

გუშინ დეპუტატთა პალატაში ვიკონტი ანმა ცხარე სიტყვა წარმოსთქვა ვერსალის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის სასარგებლოთ. ორატორი მოითხოვს პატრიოტულ გაერთიანებას საფრანგეთისას, რათა მიღებული გამარჯვება სავსებით გამოიყენოს ქვეყანამ.

ზემო სილეზიიდან მოსული ცნობები თანახმად, ამ დღეებში მოელიან პოლონელების ახალ შემოტევას. მოკავშირეთა კომისიის წევრები განაგრძობენ მოსაზღვრე სოფლებში დაახლოებით ცნობების შეკრებას იმის შესახებ, რომ აქ მომხდარ ინციდენტს ჰქონდა რაიმე კავშირი სპირტაკელებთან, თუ არა.

ბელგიის მთავრობამ განაცხადა, რომ ბელგიიდან გერმანიის სამხედრო ტყვეების გადაყვანას დაუყოვნებლივ დაიწყებენ.

ფინანსთა საქმეების სტატს-სეკრეტარმა გელფერიხმა განაცხადა, რომ ის ფინანსთა მინისტრ ერცბერგის წინააღმდეგია არა კერძო ნიადაგზე, არამედ ობიექტიური მიზეზების გამო. ერცბერგ ფინანსიურ პოლიტიკას არა აქვს მტკიცე საფუძვლები და იღებს მხედველობაში ისეთს გადასახადებს, რომლის დადება გერმანიის არ შეუძლია.

ეკატერინბურგში, სილეზიაში სურსათის სიმცირის გამო არეულობა მოხდა.

ვენაში სახელმწიფოების ქალაქების და მთავრობის წარმომადგენლების [illegible]

ბირი მოხდა. რენნერმა, სხვათა შორის თქვა, ჩვენი სახელმწიფო ეხლა ფეოდალურად და ეკონომიურად შვეიცარიის რესპუბლიკას დაემსგავსა და საჭიროა მოწყობილ იყოს ქალაქთა და სახელმწიფოთა მსგავსად, რომელთაც ვითმართველობა აქვთ. წინათ ჩვენ მაიარებთან, ჩეხებთან, პოლონელებთან და ამხრეთ სლავიანებთან ვიყავით გერთიანებული და არ შეგვეძლო დამოუკიდებელი ცხოვრება გვეწარმოებია, რადგან ომსავალელებთან ვიყავით დაკავშირებული

ეხლა ჩვენ თავისუფლები ვართ და ვენ შეგვიძლია ჩვენი სახელმწიფო მოაწყოთ და ვიხელმძღვანელოთ დასავლეთის მაგალითებით. როდესაც ევროპაზე ვლაპარაკობ, მე ვგულისხმობ მთელ დასავლეთს, ე. ი. გერმანიას და იტალიასაც. ჩვენ უნდა შევქმნათ ორგანიზაცია მთელი ქვეყნიერების სახელმწიფოს მსგავსად და არა ბალკანეთის დავარად.

გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიის ფულის კურსის დაცემას სხვა ქვეყნებში, რამაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში, ფართე ასიათი მიიღო.

იტალიური პრესის ცნობები.

ქალაქ ფიუმეს დელეგაციამ კვლავ მიმართა სენატორ ლოჯს თხოვნით, მიიღოს მხედველობაში ფიუმეს მცხოვრებთა კანონიერი მოთხოვნილებანი.

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობის თანახმათ სენატორ ლოჯს განუცხადებია, რომ სენატში ყველა რესპუბლიკანელი დეპუტატი ერთხმად მისცემს ხმას იტალიას.

ლისაბონიდან ნეაპოლში მოვიდა პორტუგალიის გემი „გალმანი“. გემმა 300 მოგზაური მოიყვანა. ეს პირველი გემია ომის შემდეგ, რომელმაც მგზავრობა განაახლა. იტალიის გუბერნატორი ცხოელების მოსვლას თანაგრძნობით შეხვდა.

განზრახულია ძველი დიდგვარ ფრანგ იტალიელ მეომართა ძმური კავშირის აღსანიშნავად. ამ ძეგლის სასარგებლოთ საფრანგეთ-იტალიის კომიტეტმა, რომელიც პარიზში არსებობს, გადასდო 500,000 ფრანკი.

ახალი ამბები

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის სოფლებმა: იღმაზლომ, ჯუჯა-კენტმა, სოფლ ბულაღმა, ყარაგალამ, ყარაისამ და პრივოლნაიამ შუამდგომლობა აღძრეს საქართველოს მთავრობის წინაშე ამ სოფლების საქართველოსთან შემოერთების შესახებ.

სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა დაიბურა 19 სექტემბერს. მთავარ შტაბში აირჩიეს შემდეგი პირნი: ვ. ჯუღელი, ვ. ჯიბლაძე, ალ. დგებუაძე, სილ. ჯიბლაძე, ბ. დგებუაძე, დ. სალირავილი, შენგელია, ძამანაშვილი, მუხარინსკი, კახიანი, ვარდოიანი, ჭიაბრიშვილი, სირბილაძე, ემილ. ფარნიევი ს., სალუქვაძე ანანია, გურული ზ. გოგიშვილი ვ., რუხაძე ლ., გლახოიანი, და რ. აუშტროვი. ამ პირთა სია წარდგენება მთავრობის თავმჯდომარეს დასამტკიცებლათ. ამასთანავე ყრილობამ ერთხმათ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სპეციალ თავმჯდომარეთ აირჩია ნოე ჟორდანია. უკანასკნელ სხდომის ანგარიშებს მომავალ ნომერში მოვათავსებთ.

ლექცია. სამშაბათს, 23 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში შესდგება შეერთებული საზოგადო სხდომა პირველ და მეორე რაიონის წევრებისა. ამხ. გ. ლორთქიფანიძე წაიკითხავს მოხსენებას შემგეგ თემაზე: „რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა და მისი უახლოესი მომავალი“. ეს მოხსენება გამეორდება ტრამვაის პარკში, რუსულ ენაზე, ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

თფილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა პირველ ოქტომბერს იწყება. თხოვნების მიღება გრძელდება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი მთავრის ქ., № 91. მსმენელები პირველ ოკტომბრისათვის უთუოდ უნდა გამოცხადდენ.

ბინა სტუდენტებისათვის. გუშინ შუადღის 12 საათზე ქალაქის მოურავს წარუდგა სახელმ. უნივერ. სტუდენტთა დელეგაცია და სთხოვა, რათა ქალაქის გამგეობამ მისცეს მათ ერთ ერთი შენობა სტუდენტთა საერთო ბინის მოსაწყობად. ქალაქის მოურავმა ყურადღებით მოისმინა შუამდგომლობა და აღუთქვა მათ სათანადო დახმარება.

ერთობის უბნის მუშათა კლუბში. დღეს 21 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ერთობის უბნის ს. ს. დ. მ. პ. ქვე-კოლექტივის მიერ დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. მომხსენებელია რუსეთიდან ახლად დაბრუნებული ამხ. გრიშა ლორთქიფანიძე. შემდეგ მოხდება ხელ-ახალი არჩევნები ქვე-კოლექტივის წევრებისა, სთხოვენ ყველა პარტიულ წევრებს აუცილებლად დაესწრონ კრებას

სახალხო თეატრი. დღეს, 21 სექტემბერს, სახალხო სახ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე ხსნის სეზონს. წარმოდგენილი იქნება: ტრ. რამიშვილის პიესა „მეზობლები“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

სახელოსნო კლუბში. ხვალ, 22 სექტემბერს გაიმართება საღამო, სადაც მონაწილეობენ ვ. ბარნოვი, ილია ნაკაშიძე, ი. ერემაშვილი, გ. ტაბიძე, დუტუ მეგრელი, შალო ზღვიმელი, გალაკტიონ ტაბიძე, გ ქუჩიშვილი, ობოლი მუშა, ღიადო მაჭავარიანი, ვასო გორგაძე, სიმონ წეველი, არტემ გაბუნია, რაუდ გოგოხია, გიორგი საგანელი, ილო ქურხული, ფოლტი, მ. დევაძე, ენრიკო ბროჯი, ვალერი ჯვარიძე, ვანინი, ვოლგინი, ბუცკი. შემდეგ ევროპიული და აზიური ცეკვა—სიმხნეიჩის ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ლექცია ჯაკონცერტი. ღღეს, საღამოს 8 საათზე, ვერის მუშათა კლუბში, ოლღას ქ. № 29, გრ. ლორთქიფანიძე წაიკითხავს ლექციას: „წარსული და ახლო მომავალი ბოლშევიკურ რუსეთის. ლექციის შემდეგ რაჭული და გურული გუნდები შეასრულებენ სხვა და სხვა ხიმღერებს. დასასრულ გაიმართება დივერტისმენტი.

ყაჩაღის დატუსაღება. რკინის გზის მილიციის უფროსის თანაშემწე გველაშვილი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 18 სექტემბერს სადგურ კუმისში რკინის გზის უფროს მილიციელ სახარულიძეს დაუტუსაღებია ყაჩაღი რუსია, რომელიც გამოტეხილა კოჯორის ფოსტის გაძარცვაში მონაწილეობის მიღებაში, ყაჩაღს თან აღმოჩენია 33,871 მან. 50 კაპ

გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებელი კურსები. ოქტომბრის პირველ რიცხვებში თფილისის უმაღლეს საინჟენერო სასწავლებელთან არსდება გზათა ტეხნიკოსების მოსამზადებელი კურსები ინჟენერ შერმაზანოვის ხელმძღვანელობით. კურსებზე ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ზემო აღნიშნულ სასწავლებლის ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი № 91. ყოველ დღ. საღამოს 5—7 საათამდე.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ქრონიკაში შესახებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს შემადგენლობისა, შემდეგი კარექტურული შეცდომა სწერია: „ს. ს.-დ. ჰინჩაკისტები 2“ და სხვ. უნდა იყოს: „ს. ს.-დ მ. პარტიის სომხური სექცია—8, ჰინჩაკისტები 2 და სხვ.

იქვე სწერია: „დაჭრილ დასახიჩრებული და მოკლულ გვარდიელების ოჯახთა სასარგებლოდ საგუბერნიო ბატარეის გვარდიელებმა შემოსწირეს 1260 მ.“ და სხვ. უნდა იყოს: „საგუბერნიო ბატარეის გვარდიელებმა“ და სხვ.

ქრონიკა.

ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— ღღეს, 21 სექტემბერს, დილის 11 საათზე წ. კ. ბ. საზ. ბინაზე (დამფ. კრების ქუჩა) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის სხდომა. განსახილველი საგნები: 1) სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა, 2) პედაგოგიური ჟურნალის შესახებ და სხვა კითხვები.

— ღღეს, 21 სექტემბერს, დილის 10 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში შესდგება კლუბის წევრთა საზოგადო კრება, ამიტომ მუშათა კლუბის გამგეობა სთხოვს კლუბის წევრთ დაესწრონ ამ კრებას.

— ორშაბათს, 22 სექტემბერს, საღ. 5 საათზე ნაძალადევის თეატრში შესდგება პირველ რაიონის ს.-დ ქალთა ორგანიზაციის პარტიული კრება.

— ღღეს, 24 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 ს. მე 3 კომისარიატის სასურსათო კომიტეტის შენობაში შესდგება აღნიშნული საკომისარიატის მოქალაქეთა კრება სანიტარული ზზრუნველების ასარჩევად.

ყოფილ სამხედრო ტყვეთა საყურადღებოთ

1919 წ. აგვისტოს 1 ს ქ. ჰამბურგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბერლინელ წარმომადგენლობის მონდობილობით საქართველოს მომავალ სამხედრო ტყვეებს ჩამოერთვა გერმანული სახელმწიფო მარკები.

ჩვენი მოხსენების საპასუხოდ საქართველოს დემ. რესპ. მთავრობამ ბრძანება გასცა ამ ფულის სამაგიერო დაუბრუნდეს სამხედრო ტყვეებს, რომელთაც ფული ჩამოერთვათ ჰამბურგში, ქართული ბონების სახით.

მივმართავთ ყოფილ სამხედრო ტყვეებს, გამოგზავნონ ბერლინელ საელჩოს სახელით გაცემული პარათები—კვიტანციები და წყალობით შემართონ შემდეგი ადრესით: თფილისი, სამხედრო სამინისტრო, სამ—ნო განყოფილების საქმის მწარმოებელს ბ. ალექსანდრ ნეიმანს.

მოვიგონებთ ყველას, რომ აუცილებლად საჭიროა საელჩოს კვიტანციების გადმოგზავნა, ისე ფულის გაგზავნა შეუძლებელი იქნება.

სატრანსპ. კომისიის თავმჯდომარე, ფილ დოქტ. **კონსტ. გამსახურდია.**

თფილისი, სექტ. 20.

მთავრობაში

13 სექტემბრის სხდომა.

კოოპერატივთა რწმუნებულის შუამდგომლობა, კოოპერატივთა პირდაპირი და კერძო სანიტარულ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, გადაეცეს დასკვნისათვის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.

— მიეცეს ქალაქის თვითმართველობას მილიონ ნახევარი ოქანსად მილიციის შესანახ ხარჯების 50 პროც. ანგარიშში (ე. ი. იმ თანხის ანგარიშში, რომელიც თანახმად კანონისა, გაღებულ უნდა იქნეს მთავრობის მიერ მილიციის შესანახად). ეს თანხა ამ ჟამად გაღებულ იქნას სესხად სამხედრო ფონდიდან, ხოლო დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს, წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტი.

— ქალაქის დადგენილება მოწყობილ ოთახების და გასტრონომიულ მაღაზიების დაბეგვრის შესახებ მიღებულ იქნას.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 45,000 მ. შინაგან საქ. მინისტრის მოხსენებაში აღნიშნულ მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ექიმთა და ფერშალთა ოჯახთათვის ერთ დროულ დახმარების აღმოსაჩენად.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 10 მილ. ფონდიდან 33,550 მ. 20 კ. ქუთაისის საეპარქიო საბჭოსათვის გადასაცემად.

— ლტოლვილთა განყოფილების ლიკვიდაცია მოახდინოს ქალაქის თვითმართველობამ თავისი საშუალებით, რის შემდეგ მთავრობა გიდაუხდის ქალაქის თვითმართველობას თავის ხვედრ ხარჯს იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული დაწესებულების შენახვა ან მისი ლიკვიდაცია მთავრობის მოვალეობას შეადგენდა.

— გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 386,000 მან. ტუსაღთა და მათი მხლებელ მილიციელების და მოხელეების სახაზინო და კერძო რკინის გზით გადაყვანა-გადმოყვანით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

— ბათომის ყოფილ ოლქის სასამართლოს საქმეების ბათომის ოლქის სასამართლოსთვის გადაცემას მთავრობა შესაძლებლად ვერ სცნობს რესპუბლიკის მოსახლეობის მოქალაქეობრივი უფლებების დაცვის საჭიროების გამო მანამ, სანამ ჩვენსა და მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით არ იქნება დადებული სათანადო ხელშეკრულება.

— კულტურულ მნიშვნელობის მაგულთა იჯარით გაცემა ხდებოდეს სამინისტროს მიერ შემუშავებული წესით.

— მთავრობის საქმეთა მმართველობას აიკრძალ ერთდროულად 3,104 მან. ზედმეტად გაწეულ საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად.

—

16 სექტემბრის სხდომაზე მთავრობამ დადგინა:

— გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 200,000 მანეთი ეფხაზეთის, აჭარის და საქართველოს განაპირა კუთხეთა მცხოვრებ მოწყალე ახალგაზრდათა დახმარების აღმოსაჩენად (ამ თანხაში არ შედის სასტიპენდიო თანხის ნაშთი და უნდა მოხმარდეს ამავე მიზანს). დაევალოს განათლების მინისტრს წარადგინოს დამფუძნებელ კრებაში სათანადო დეკრეტი.

— მიეცეს უფლება განათლების სამინისტროს დაკმაყოფილოს შტატგარეშე დატოვებული მოხელენი ალი კვიდაციო ფულით.

— მიეცეს უფლება განათლების სამინისტროს ამა წლის 20 მაისის და აგვისტოს დეკრეტები (რესპუბლიკის სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო მოსამსახურეების ჯამაგირის მოსატანებისა) გაავრცელოს არსებულ უმაღლეს დაწესებულებათა სასწავლებლებზე, რომელნიც იმყოფებიან ერობათა და ქალაქების განკარგულებაში. დეკრეტი გავრცელებულ უნდა იქნას 1 სექტემბრიდან, ამ მიზნისათვის უკვე გახსნილ კრედიტების ფარგლებში.

— ბორჩალოს მაზრაში საექიმო პერსონალის სამგზავრო და დღიური ხარჯები გადიდებულ იქნას შინაგან საქმეთა უწყების მიერ.

— გადაიდოს იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში სესხის სახით 90,600 მან. ათ მილიონიან ფონდიდან ახალციხე ახალქალაქის სამომრიგებელო ინსტიტუტის მოხელეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად იმ პირობით, რომ აღნიშნული ფონდი შეესებული იქნება რიდესაც სათანადო კრედიტი გაიხსნება.

— გადაიდოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 33,653 მან. 44 კაპ. 10 მილიონიან ფონდიდან ყარაიაზის სამომრიგებლო სასამართლოს შენობის შესაკეთებლად იმ პირობით, რომ იუსტიციის უწყება წინასწარ დაათვალიერებს ადგილობრივად და გამოარკვევს, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული სასამართლოს მოთავსება რომელიმე სახელმწიფო შენობაში.

— გადაიდოს გზათა მინისტრის განკარგულებაში 50,000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან გორის სამაზრო ერობის დახმარების აღმოსაჩენად ცხინვალის გზის შეკეთების საქმეში. მიეცეს უფლება მიწათ მოქმედების მინისტრს დაზარალებულ სოფლების მოსახლეობას დაუთმოს ჯასასყიდლოდ საშენებელი მასალა თვითნებობით მოჭრისათვის ჩამორთმეულ, ან ცეცხლისაგან დაზარალებულ ტყიდან და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში—გზრდილ ტყიდან (ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში). გარდა ამისა მინისტრს უფლება ეძლევა ღალის გადასახადისაგან გაანთავისუფლოს ან გადასახადები შეუმციროს იმ სოფლების მოსახლეობას, რომელნიც დაზარალებული არიან როგორც ომით, ისე სეტყვისა და ცეცხლისაგან.

მიეცეს გზათა და შინაგან საქმეთა მინისტრებს შეიმუშაონ პროექტი ამის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქმნას მიღებული რკინის გზაზე ბოროტმოქმედებათა მოსასპობად.

ნახატი 3 მანეთიან ქართულ ბონებისა, მიწონებულ იქმნას.

რესპუბლიკის ერთგულთა მეორე ყრილობა

(დასასრული)

18 აგვისტოს დილა-საღამოს სხდომები რეზოლიუციების მიღებას და მიმდინარე საკითხების გარკვევას მოუნდა. ამ დღის სხდომებს ნერვიულობა ეტყობოდა. ამის მიზეზი იყო ყრილობის ხანგრძლივი მუშაობით მოქანცულობა და აგრეთვე ცენტრის საკითხი. ამ საკითხმა მწვავე ჯამათი გამოიწვია გარჩევის დროს და რეზოლიუციის მიღებისასაც ალელვა ზოგიერთი დელეგატი და უნდა ვაღიარეთ გულწრფელათ, რომ ეს ღელვა სრულიად სამართლიანი იყო. საერთო მოღვაწენი დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ საქმიანობით. ხანგრძლივი ჯამათის შემდეგ ცენტრის საკითხი გადწყდა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) დაარსდეს სამაზრო ერობების კავშირი, რომელსაც დაევალება ადგილობრივი ერობების ხელმძღვანელობა და ცხოვრებაში გაყვანა იმ დადგენილებებისა, რომელიც სამაზრო ერობათა წარმომადგენლების ყრილობის მიერ იქნება გამოტანილი. 2) ამ მიზნისათვის არჩეულ იქნას ყრილობის მიერ 9 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი კოოპტაციის უფლებით. კომიტეტში არჩეულ არიან: გრ. ლორთქიფანიძე, ის. სტურუა, პ. ქავთარაძე, ს. ჭანტურიშვილი, კ. სულაქველიძე, დ. ონიაშვილი, ლ. შენგელია, ვ. ცაბაძე, არ. ემუხვარი.

საარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: მ. ციკვაშვილი, ალ. მითაიშვილი, დ. ჯარიეაშვილი-

ყრილობამ ადმინისტრაციის საკითხის მოგვარება მიანდო დამფ. კრებას, რომელმაც უნდა გამოუშვას სათანადო კანონი ადმინისტრაციის შესახებ. ყრილობამ გადასწყვიტა: იმ მაზრებში, სადაც თემები გამოუჩრილია, გაუქმდეს საარაბონო მილიციის ეფროსის თანამდებობა, იქნეს მხოლოდ ორი საფეხური; თემის მილიცია და სამაზრო მილიცია.

ყრილობამ დადგინა აგრეთვე: წვრილ ერთეულებს ყველგან დაერქვას თემი. თემის ხმოსანთა ყრილობას—თემის საბჭო, გამგეობას—თემის გამგეობა. მაზრის ხმოსანთა კრებას—მაზრის საერობო ყრილობა.

ს. ჭანტურიშვილს წინადადება შემოაქვს ეგ. წოდ. ახლად აღმოცენებული ქალაქები შეივიდენ სამაზრო ყრილობაში როგორც ცალკე თემები.

მაღალულ იქნა მ. მალნარაძის წინადადება ამ საკითხის კომიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

დასმულ იქნა აგრეთვე მაზრების ვადამიჯვნის საკითხი. ყრილობამ დაადგინა გადამიჯვნის საკითხი ვადაეცეს დამფ. კრებ. თვითმართველობის კომისიაში და ეთხოვოს, რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვაროს ის.

საერობო ჟურნალის დაარსების, ან ქალ. კავშირის ჟურნალში შესაფერი განყოფილების მოწესრიგების საკითხი გადაეცა კომიტეტს.

დ. ჩხეიძეს წინადადება შემოაქვს, ყრილობამ იქონიოს მსჯელობა ჩამორჩენილი და ღარიბი მაზრებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ორატორი ასაბუთებს წინადადებას და ამბობს: დუშეთ-თიანეთის მაზრა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება ყოველმხრივ: მაზრაში ინტელიგენტური ძალების შიმშილია, არაყინ მიდის. სურსათის ნაკლებობაა, ერობებს არავითარი სახსარი არა აქვთ, სკოლები ნაკლებათაა; ყრილობამ ცოტა მსჯელობის შემდეგ მიიღო ამ საკითხზე შემდეგი წინადადება: ეს საკითხი გადაეცეს კომიტეტს, ამასთანავე ეთხოვოს, მთავრობას უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინოს ამ ჩამორჩენილ მაზრებს.

რეზოლიუცია ხაფინანხო საკითხის შესახებ.

1) ყოველგვარი პირდაპირი სახელმწიფო გადასახადი გარდა შემოსავალზე გადასახადისა, ერობას შემოსავალზე გადასახადიდან ერობას მიეცეს 40 პროც. შემოსავლისა.

2) 40 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც უნდა შემოვიდეს 23 იანვრის კანონით გადასაცემ მიწის საფასურიდან, მიეცეს სათანადო სამაზრო ერობას, მიწის გაყიდვამდე-კი ერობას მიეცეს 40 პროცენტი საღალო შემოსავლისა.

3) საერობო კავშირის კომიტეტმა უნდა მიიღოს ენერგიული ზომები მუნიციპალური ბანკის დასაარსებლათ.

4) თემის საბჭოს უნდა ეძლეოდეს განსაზღვრული პროცენტი საერობო გადასახადისა, ამავე საბჭოს მიეცეს უფლება იმ ხარჯის თემზე შეწერისა, რომელიც წარდგენილი და დამტკიცებული იქნება სამაზრო ერობის კამგეობის მიერ.

დასასრულ ყრილობის სიტყვით მიმართეს ის. სტურუამ და დ. ონიაშვილმა, რომლებმაც აღნიშნეს დიდი განსხვავება პირველ და მეორე ყრილობის შორის საქმიანობის და გამოცდილების მხრივ და უსურვეს ერობებს კვლავ განაგრძონ მუშაობა ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ. ყრილობამ მადლობა გადაუხადა პრეზიდიუმს სამსახურისათვის და 18 სექტემბერს საღამოს დაიშალა.

პატარა ფელეტონი

ბ ო ლ დ ვ ა II *)

(არც მთლად დასაბამი გიჟის და არც მთლად ასაშვები ჭკვიანის).

დაე, სხვა და სხვა ავათმყოფობათა მკვლელგარი ლობბროზო დამიმოწმოს (მე ამას არ ვითაკილებ!), რომ ქვეყნად არსებობს ადამიანთა სხვადასხვა ენი, სენი ტეინის უჯრედების, ანუ ტვინის ბიცინის, მისი ხვინცარიკის; ერთი ამ ჯურის სენთაგანი, როცა ადამიანს დაემართება, ანუ ეშმაკის ლექსიკონით, როცა „მოუვლის“, მაშინ მას შეიპყრობს გაბერვა-გატყლარჭვის სურვილი (მეცნიერება ამტკიცებს, რომ ეს სენი ადამიანს ბაყაყიდან შეუძენია), უცხო ენაზე ამ სენს მანია გრანდიოზას ეძახიან, მდაბიურად რომ მოგახსენოთ, განდიდების სურვილით ავათმყოფობის. ეს სენი თანამედროვეა, ამ რევოლიუციის ნაშიერ ძლიერ ბევრს „მოუვლის“ ისევ განდიდების სურვილი, ძლიერ ბევრს მოეალანდება პ[illegible] თუ [illegible] ... თუ ჩაგვაყენ[illegible] ... რომ ის[illegible] სამეგრელოს მეკვიდრე უგანათლებულესი თავადი დადიანი, მაშასადამე ცხოვრებაც დ. დიანურ მადიანური შეფერის, ბატონ-კაცური და რომ მიზანს მიაღწიოს, ამიტომ ეპისტოლე გაუგზავნა შავ გენერალ დენიკინს, რომლიდანაც, თუ მეტს არა, კაკაბის ნამსტნიკობას მაინც მოელოდა...

ამავე სენმა შეიპყრო სტუდენტი ზიხეილ კანკავა (იგივე კაკა), დაარსა სამეგრელოს ავტონომისტთა ჯგუფი „მაფალუ“, თვით კი ბანძის ზრესპუბლიკის პრემიერ მინისტრის სავარძელში წამოიჭიმა...

ასეთივე უკურნებელი სენით ბრძანდება ალბათ დაავადებული „კლდის“ კლდე „ჟურნალისტი“ ყოფილი პოლიციმეისტერი, ყოფილ თავად-აზნაურთა ყოფილი წინამძღოლი ბ-ნი კოტე სვიმონოვი, რომელსაც გადაუწყვეტია მის ყოფილ სამრძანებელ ბორჩალოს მაზრიდან მაინც (თუ თფილისის გუბერნიიდან არა) კორტოხს გადღმა გაღარეკოს საქართველოს ტერიტორიის „უცხო და მოსული“ ელემენტი იმერლები, რის შემდეგ ბურთი და მოედანი მის ყოფილ აღმატებულებას დარჩება და შეიქნება ბორჩალოს მემკვიდრე პრინცი. ყურთმაჯიანი ქართველი პატრიოტი ბორჩალოს პრინცი კოტე და სოლოლაკის სომხები ამ შემთხვევაში ერთ კილოზე გოდებენ: „უფალო, უფალო, რაისათვის მოგვიძულე ჩვენ, რაისათვის არ გაუხმე ხელი ქოჩორას „ტუნელის“ გამკეთებელს, საიდანაც გამოძვრენ იმერლები ამერეთის დასაპყრობლად და ჩვენის ბატონობის აღსაგველად“.

როგორც ხედავთ, ეს თავის განდიდების სენი ვისაც დაემართება, კიდეც გაუტკბება, შეიფერებს, იამების და არც ეცდება თავი განიკურნოს, ავათმყოფი მართლა გიჟი ხომ არ არის რომ, ადვილად დასთმოს ადვილად ნაშოვარი მეფობა. ის არას დაგიდევს, თუ მისი პირადი ბედნიერება სხვის უბედურებაზეა აგებულ დამოკიდებული. ალბათ ასეთივე სენი სჭირდა ძველათ უკვე უკვდავ ჰეროსტრატეს, რომელმაც თავის სახელის უკვდავ საყოფელათ დიდებული ტაძარი დაწვა.

დასწვი, ჩამოარჩეკ, დაანგრიე, ყოველივე შექმნილი უვარჭყავ, სისხლში იბანავე, ოღონდ კი განიმტკიცე პირადი შენი მეს ბატონობა; ყოველივე მე მენაცვალოს. ყოველივე ჩემს ფეხთა ქვეშე გენერთოს, მე და ჩემი ბატონობა თუ არ იქნება, ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა, გაიხადონ თანამედროვე კოდელი ნიოები და ამავე სენით ავათმყოფობაშე ეკვიკები. და რომ მიზანს მიახწიონ, ძალიერებენ თავიანთ რაზმს, გარს იკრებენ ქურდებს, მეკობრეებს, თავდამცემლებს, დეზერტირებს, რეაქციონერებს და ყველა იმათ, ვინც გაუბრის რესპუბლიკანურ სამჯავროს—დანაშაულიანობის პასუხის გებას. ასეთი არმიით ლამობენ ბალშევიკები (განსაკუთრებით გურიაში) მთავრობის ჩამოგდებას და ვითომდა მუშათა საბჭოს მთავრობის დაარსებას. ამ ბანდას გურიაში ხელმძღვანელობენ ძმები კალანდაძენი და ძმები დიდიძენი (სუფლის გაღმა გამოღმის გმირები). მათ ბალშევიკურ-კომუნისტურ იაზეიკას ამშვენებს და ავსებს მათივე დედა, დები, ცოლი, დისწულები და სიძეები...

მეც ვერ გადურჩი მანია გრანდიოზის, მეც მომიმალის ხოლმე განდიდების სურვილი, მეც მინდა ვიყო დიქტატორი, მაგრამ არა მთელი „კოსმოსის“ (როგორც ეს უნდათ ბალშევიკებს), არამედ მარტო საქართველოს და თუ რა მწადია ჩემი დიქტატურით ამას, თუ სიცხემ არ მიკლო, შემდეგ მოგახსენებთ.

მეზზიკე.

პოლიკარპე ხაინდრავა

ამბ. პოლიკარპე ბავშვობიდან ისე შეეზარდა და შეესისხლხორცა მუშათა ცხოვრებას, რომ მის გარეშე მას არსებობა არ შეეძლო. ადრე ჩაება ის პარტიულ მუშაობაში და ყველგან მოწინავე რიგში იდგა. ვის არ ახსოვს მისი დაუღალავი მუშაობა ჭიათურის მუშათა ორგანიზაციებში, ხიმშში, ახალგაზრდა მარქსისტებში, სადაც ის ცეკას საკანტროლო კომისიაში იყო. თავისი ენერგიული და თავდადებული მოღვაწეობით მან ამხანაგებში თუ ფართო მასაში საერთო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. ის იყო პატიოსანი, უანგარო მუშაკი, უშიშარი მებრძოლი, გულწრფელი რევოლიუციონერი და შეგნებული ახალგაზრდა, რომელიც თავისი დაუზოგველი შრომით, პრაქტიკული ნიჭით და მუშათა კლასისადმი უსაზღვრო სიყვარულით მისაბაძ მაგალითს იძლეოდა. მაგრამ არ დასცალდა! საავტომობილო გუნდის საწყობში სამსახურის დროს მისი სიცოცხლით სავსე ორგანიზმი შეიპყრო უკურნებელმა სენ-

*) ბერი ბოდვის პირველ თავს ჩემდა სამწუხაროთ ბოდვაში ჩაუგდია ჯაზეთის (იხ. „ერთობა“ № 201) ასოთ ამწყობი და კორექტორები: ბოდვის მაგიერ **გოდვა** დაუსტამბავთ (გოდება მაინც აეწყოთ, გინდ დაეწყოთ!), პირადის მაგიერ—**პირველი**, მოთურგვნის მაგიერ ვერც კი ამოვიკითხე, რაღაც ენის გასატეხი, ჩქარა გამოსათქმელი სიტყვა უხმარიათ. გერიოს გამომგონთა—**გენიას** გამომგონი, მომიშველდა—**მომეშველეთ** შეუცვლიათ, რომელსაც—**როდესაც** და სხვა. ვთხოვ შემდეგში მაინც ნუ შეეშლებათ სათაურ საცნაური და ბოდვაზე ბოდვის დამატებას ნუ ინებებენ.

მეზზიკე.

მა, რომლის [illegible] ყოველივე საქმიო დასმარება [illegible] ბახდა, მალე კ. დეც გამოე [illegible] ფოსელს.

მშვ. [illegible], ამხანაგო!

შენი [illegible] სახე, ფანგარო და თავდადებული შრომა [illegible] ბოლოვაწეობა გამამხნევებელი [illegible] ცხოვრების ნარ ეკლიან გზის მანათობელი იქნება შენი ამხანაგებისთვის.

დ. ორაგველიძე, ვ. ნუცუბიძე და პ. ლეფავა.

ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲒᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲔᲚᲘ

(წერილი რედაქციის მიმართ.)

სად. ბორჯომში კვირას, 14 სექტემბერს, შეზავრების და კერძოთ ჩემ მიმართ არა საკადრისი საქციელი ჩაიდინა სამინისტროს უფროსმა მოხელემ, რაც საჭიროთ მიმაჩნია პრესაში გავაშქიანენო.

ჩემთან ერთად იყვნენ რკ. გზის პროფ. კავშირის გამგეობის წევრები. ბილეთი ვიყიდე და ბინდოდა ვაგონში შევსულიყავი; მაგრამ სიფეხურთან დაბლა იდგენ ერთის მხრით მატარებლის დარაჯი და მეორეს მხრით კონდუქტორი: მათ არ გამიშვეს—ვაგონში ადგილი არ არისო. ვნახავ და თუ ადგილი არ იქნება—ვუპასუხე მე—მაშინ სხვაგან გადავალ შეთქი. კონდუქტორი გაჯინიანდა, მაგრამ ლაპარაკში ჩაერია სად. ბორჯომის უფროსი მილიციონერი და ჩვენც ოგედით სიფეხურზე. ის იყო ვაგონში უნდა შევსულიყავი და შიდა კარები შევალე, იქიდან ვილაც გამოვარდა, მიხურა კარები და აწეული ტონით მეუბნება რუსულად: დაბლა ჩადით, აქ არ შეიძლება, განსაკუთრებული განყოფილებაა და ადგილიც არ არის სრულებითო. მე ვთხოვე გაეშვი იქით, შეშდეგ განყოფილებაში, სადაც ადგილის მოძებნა შემეძლებოდა და მოვინდომე კარის გაღება. ის ცხარდება და ხელს მკრავს: „არ გესმით, არ შეიძლება, მე მიწად-მოქმედების საჭინისტროს დირექტორი ვარ, აქ არიან კიდევ ყოფილი მინისტრი გ. და დამფ. კრების წევრი ჯ., ჩადით დაბლა“. ის ხელ ახლად ხელს მკრავს და ხმას უმაღლებს. ვაგონთან ხალხი შეგროვდა. საქმეში ერევიან რკ. გზის კავშირის წევრები და ფუროსი მილიციონერი. აღშფოთებული ვიყავი ასეთი მოპყრობით და ვაგონის მისაკუთრებით. რკ. გზის კავშირის გამგეობის წევრები შესაფერ პასუხს აძლევენ ჩემთან ერთად და უხსნიან უდიერ ჩინოვნიკს, რომ ვინც უნდა იყოს იქ, საერთო ვაგონში შესვლის აკრძალვის უფლება არავის აქვს და მისაკუთრებაც მისი. და თავის დიდ თანამდებობაზე მითითება არაა ლამაზი მოქმედება. ბ. დირექტორი ქედს არ იხრიდა, მაშინაც კი განაგრძობდა თავისას, როდესაც მას უთხრეს, რომ მე დამფ. კრების წევრი ვიყავი; მაგრამ ამის შემდეგ, როგორც დაეტყო, ის ერთნაირად შიშმა შეიპყრო და გზა მოგვცა. დავუმატებ აქვე, რომ ის ასე იმართლებდა თავს შემდეგ: გეთქვათ ვინ იყავით და მეც შეგიშვებდით ვაგონშიო.

შეეკითხ ვაგონში. გამოჩნდა, რომ ის განყოფილება, სადაც 20 საჯდომი ადგილი იყო, დაეკავებინათ ბ-ნ დირექტორს და რამდენიმე მის ნაცნობ მანდილოსანს. აქ არც გ. იყო და არც ჯ. როდესაც შემდეგ მე ვნახე ამბ. გ და ჯ., რომლებიც თავიდანვე სხვა ვაგონში ყოფილიყვენ, მათ გაკვირვება გამოსთქვეს და განაცხადეს, რომ ფიქრადაც არ მოსვლიათ ბ-ნ „დირექტორის ვაგონით“ სარგებლობა. აღმოჩნდა, რომ დირექტორს ბ-ნ ბერიძეს (ვაგონში გამოვარკვიეთ მისი ვინობაც) მეორე მხრიდანაც შესაფერი ზომები ჰიეღო, რათა „უბრალო“ ხალხი არ შემოსულიყო მის „აღმატებასთან“. შემდეგი განყოფილება სულ გაქედილი იყო, არსად გასაქანი არ მოიძებნებოდა. ჩვენი შესვლა ყველას გაუკვირდა—როგორ მოხდა და ჩვენ შევძელით ისეთი დიდი პირის მოდრეკა, როგორიც ბ-ნი დირექტორი. დიდი უკმაყოფილება იყო და აქაიქ ბ-ნ დირექტორის საქციელთან დაკავშირებულად გაიგონებდით რკ. გზის ადმინისტრაციის და მთავრობის ძვირს.

მე, ცხადია, აქ მაინტერესებს არა ის, რომ ბ-ნი ბერიძე პირადად უდიერად მომეპყრო, როგორც მოქალაქეს (ამი სათვის და საერთოდ მთელ საქციელი სთვინ მას შესაფერი ოქმი შეუყენეს ბაშურში)—ეს იმიტომ ის, თუ როგორ ამცირებს ყოველი ასეთი საქციელით (მით უმეტეს უმაღლესი მოხელის) მთავრობის და ადმინისტრაციის პრესტიჟს ხალხის თვალში. რკინის გზის ადმინისტრაციამ კი უცვლელად პასუხი უნდა მოსთხოვოს ბ-ნ ბერიძეს, რა უფლებით დაეპატრონა ის საერთო ვაგონს და გინკარგულება გასცა იქ არაკინ შეეშვათ, და რა კანონის ძალით მიიღო ასეთივე ზომები (როგორც იქ ამბობდნენ) ბ-ნმა სადგურის მორიგემ.

ნ. იმნაიშვილი.

ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲒᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲔᲚᲘ

(წერილი რედაქციის მიმართ.)

სად. ბორჯომში კვირას, 14 სექტემბერს, შეზავრების და კერძოთ ჩემ მიმართ არა საკადრისი საქციელი ჩაიდინა სამინისტროს უფროსმა მოხელემ, რაც საჭიროთ მიმაჩნია პრესაში გავაშქიანენო.

ჩემთან ერთად იყვნენ რკ. გზის პროფ. კავშირის გამგეობის წევრები. ბილეთი ვიყიდე და ბინდოდა ვაგონში შევსულიყავი; მაგრამ სიფეხურთან დაბლა იდგენ ერთის მხრით მატარებლის დარაჯი და მეორეს მხრით კონდუქტორი: მათ არ გამიშვეს—ვაგონში ადგილი არ არისო. ვნახავ და თუ ადგილი არ იქნება—ვუპასუხე მე—მაშინ სხვაგან გადავალ შეთქი. კონდუქტორი გაჯინიანდა, მაგრამ ლაპარაკში ჩაერია სად. ბორჯომის უფროსი მილიციონერი და ჩვენც ოგედით სიფეხურზე. ის იყო ვაგონში უნდა შევსულიყავი და შიდა კარები შევალე, იქიდან ვილაც გამოვარდა, მიხურა კარები და აწეული ტონით მეუბნება რუსულად: დაბლა ჩადით, აქ არ შეიძლება, განსაკუთრებული განყოფილებაა და ადგილიც არ არის სრულებითო. მე ვთხოვე გაეშვი იქით, შეშდეგ განყოფილებაში, სადაც ადგილის მოძებნა შემეძლებოდა და მოვინდომე კარის გაღება. ის ცხარდება და ხელს მკრავს: „არ გესმით, არ შეიძლება, მე მიწად-მოქმედების საჭინისტროს დირექტორი ვარ, აქ არიან კიდევ ყოფილი მინისტრი გ. და დამფ. კრების წევრი ჯ., ჩადით დაბლა“. ის ხელ ახლად ხელს მკრავს და ხმას უმაღლებს. ვაგონთან ხალხი შეგროვდა. საქმეში ერევიან რკ. გზის კავშირის წევრები და ფუროსი მილიციონერი. აღშფოთებული ვიყავი ასეთი მოპყრობით და ვაგონის მისაკუთრებით. რკ. გზის კავშირის გამგეობის წევრები შესაფერ პასუხს აძლევენ ჩემთან ერთად და უხსნიან უდიერ ჩინოვნიკს, რომ ვინც უნდა იყოს იქ, საერთო ვაგონში შესვლის აკრძალვის უფლება არავის აქვს და მისაკუთრებაც მისი. და თავის დიდ თანამდებობაზე მითითება არაა ლამაზი მოქმედება. ბ. დირექტორი ქედს არ იხრიდა, მაშინაც კი განაგრძობდა თავისას, როდესაც მას უთხრეს, რომ მე დამფ. კრების წევრი ვიყავი; მაგრამ ამის შემდეგ, როგორც დაეტყო, ის ერთნაირად შიშმა შეიპყრო და გზა მოგვცა. დავუმატებ აქვე, რომ ის ასე იმართლებდა თავს შემდეგ: გეთქვათ ვინ იყავით და მეც შეგიშვებდით ვაგონშიო.

შეეკითხ ვაგონში. გამოჩნდა, რომ ის განყოფილება, სადაც 20 საჯდომი ადგილი იყო, დაეკავებინათ ბ-ნ დირექტორს და რამდენიმე მის ნაცნობ მანდილოსანს. აქ არც გ. იყო და არც ჯ. როდესაც შემდეგ მე ვნახე ამბ. გ და ჯ., რომლებიც თავიდანვე სხვა ვაგონში ყოფილიყვენ, მათ გაკვირვება გამოსთქვეს და განაცხადეს, რომ ფიქრადაც არ მოსვლიათ ბ-ნ „დირექტორის ვაგონით“ სარგებლობა. აღმოჩნდა, რომ დირექტორს ბ-ნ ბერიძეს (ვაგონში გამოვარკვიეთ მისი ვინობაც) მეორე მხრიდანაც შესაფერი ზომები ჰიეღო, რათა „უბრალო“ ხალხი არ შემოსულიყო მის „აღმატებასთან“. შემდეგი განყოფილება სულ გაქედილი იყო, არსად გასაქანი არ მოიძებნებოდა. ჩვენი შესვლა ყველას გაუკვირდა—როგორ მოხდა და ჩვენ შევძელით ისეთი დიდი პირის მოდრეკა, როგორიც ბ-ნი დირექტორი. დიდი უკმაყოფილება იყო და აქაიქ ბ-ნ დირექტორის საქციელთან დაკავშირებულად გაიგონებდით რკ. გზის ადმინისტრაციის და მთავრობის ძვირს.

მე, ცხადია, აქ მაინტერესებს არა ის, რომ ბ-ნი ბერიძე პირადად უდიერად მომეპყრო, როგორც მოქალაქეს (ამი სათვის და საერთოდ მთელ საქციელი სთვინ მას შესაფერი ოქმი შეუყენეს ბაშურში)—ეს იმიტომ ის, თუ როგორ ამცირებს ყოველი ასეთი საქციელით (მით უმეტეს უმაღლესი მოხელის) მთავრობის და ადმინისტრაციის პრესტიჟს ხალხის თვალში. რკინის გზის ადმინისტრაციამ კი უცვლელად პასუხი უნდა მოსთხოვოს ბ-ნ ბერიძეს, რა უფლებით დაეპატრონა ის საერთო ვაგონს და გინკარგულება გასცა იქ არაკინ შეეშვათ, და რა კანონის ძალით მიიღო ასეთივე ზომები (როგორც იქ ამბობდნენ) ბ-ნმა სადგურის მორიგემ.

ნ. იმნაიშვილი.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ქუთაისის ფ.-ტ. კანტორის მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ 12 სექტემბერს განიხილა რა „სახალხო საქმის“ № 599 მოწინავე წერილი, რომ ფოსტის უწყებაში მოსამსახურეთა უმრავლესობა არიან სოციალისტ-ფედერალისტები და ადმინისტრაცია მენშევიკური, დადგინა: გამოეცხადოს „სახალხოს“ პროტესტი, რადგანაც მისი მოწინავე წერილი სიმართლეს არ შეეფერება. „სახალხო საქმე“, თუ გულისხმობს ცენტრალური გამგეობის ან კრების დელეგატების შემადგენლობას, უნდა იცოდეს, რომ დელეგატების არჩევნები პროვინციაში მოხდა პერსონალურად და არა პროპორციონალურად, პარტიული სიების მიხედვით, და თუ ჯერ მიდგა მოსამსახურეთა პოლიტიკურ მსოფლმხედველობის მიხედვით გარჩევაზე, დიდათ ნუ გაუკვირდება „სახალხო საქმეს“, რომ ფოსტის უწყების მოსამსახურეთა უმრავლესობა არიან სოციდემოკრატები და მათი თანამოაზრენი.

კრების თავმჯდომარე . **ის. ტაბიძე.**

მდივანი **კლემენტი ჭელიშვილი.**

Ს.-Დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. 11-ს სექტემბერს შესდგა მე-6 რაიონის ს. ს დ. მუშ. პარ. ახალი შემადგენლობის მორიგი სხდომა; სხდომას დაესწრო 10 კაცი.

წარსული კრების ოქმს კრება ისმენს და ამტკიცებს. შემდეგ მოხსენებას აკეთებს თბილისის კომიტეტიდან ამხ. ან. გოჩიტაშვილი, აცნობს კრებას თბილისის კომიტეტის სხდომის ანგარიშებს და სხვ. კრება მოხსენებას ღებულობს და გადადის მორიგ კითხვებზე. მე-4 ფბნის მცირე კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს ქალევიძე, ის მოითხოვს განმარტებას: მოხდება თუ არა მცირე კოლექტივის ახალი არჩევნები და კითხულობს აგრეთვე ანგარიშების მდგომარეობას, ე. ი. იმ ანგარიშებს, რომელიც კოლექტივმა ჩამოართვა მცირე კოლექტივს განსახილველად და სხვა. პირველის შესახებ კოლექტივი უპასუხებს, რომ არჩევნები მოხდება ახლო მომავალში ახალი ინსტრუქციის ძალით, რაც აქვს დავალებული კოლექტივის სორგანიზაციო კომისიას. რაც შეეხება ანგარიშებს, მდივანი უპასუხებს, რომ ანგარიშები ფინანსიურ კომისიამ განიხილა და ახლა წარუდგენს ახალ სარევიზიო კომისიას დასამტკიცებლად. მომხსენებელი კმაყოფილებას აცხადებს და კოლექტივი გადადის მორიგ კითხვებზე. ქალთა ორგანიზაციის სახელით შეკითხვა შემოაქვს ამხ. სოლოლაშვილს იმის შესახებ, რომ წარსულ კრებაზე ყოფილა შეკითხვა ქალთა ორგანიზაციის მიერ ორი წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ. აქვე აღნიშნავს, რომ, ვინიდან ინსტრუქციაში არ არის არაფერი ქალთა ორგანიზაციის შესახებ, საჭიროა გადატანილ იქნას თფილისის კომიტეტში საბოლოოთ გამოსარკვევად კოლექტივი წინადადებას ღებულობს.

რეგლამენტის შესახებ ვ. ანწკირველი აცხადებს, რომ რადგან ძველი რეგლამენტი არ აღმოჩნდა, საჭიროა ახლის შედგენა. კოლექტივი წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს ზეიმშეაოს და წარმოადგინოს ზომავალ კრებაზე დასამტკიცებელი მოხსენებას აკეთებს საორგანიზაციო კომისიის სახელით ამხ. ათაბეგოვი და აუწყებს კრებას, რომ რადაც მიზეზით კომისიას კრება არ ჭქონია და საორგანიზაციო საქმეები ჯერ არაფერი არ გაუკეთებიათ. კოლექტივი მოხსენებას ისმენს აგრეთვე საფინანსო კომისიის წევრის ალიხანოვისას. კულტურულ გახმანათლებელი კომისიაც აცხადებს რომ ჯერ არ შეერთებულან და სხვა. კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა კომისიებს დაიწყონ აქტიური მუშაობა და ამ მიზნით კოლექტივი თვითონ უნიშნავს დღეებს, როდესაც კომისიები უნდა შეიკრიბნენ.

ლექციის შესახებ ამხ. ვ ინწკირველი მოკლეთ აცნობს კოლექტივს კასის კრიტიკულ მდგომარეობას და სურვილს გამოთქვამს, რათა მოკლე ხანში კოლექტივმა მოაწყოს ერთი ლექცია ან წარმოდგენა. კოლექტივი ადგენს, გამართოს ერთი შემოსავლიანი ლექცია-ცენტრში და ავალებს ფინანსიურ და კულტურულ განმანათლებელ კომისიას ამ საქმის მოგვარებას.

საქმის მწარმოებლის შესახებ კოლექტივი ისმენს, რომ დასახელებული კანდიდატი არ თანხმდება, საჭიროა ახალის მოწვევა. კოლექტივი ადგენს მოეწეროს 200 მან. და თუ 1000 მან. არ დათანხმდა, მაშინ მოწვეულ იქნეს სხვა. პარტიულ ყრილობის მოწვევის შესახებ ამბ. ი. ირემაშვილი აკეთებს მოხსენებას. კოლექტივი კამათის შემდეგ ადგენს, დაევალოს ჩვენს წარმომადგენელს კითხვა გადაიტანოს თფილისის კომიტეტში და მოითხოვს რაიონის სახელით, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული პარტიული ყრილობა. ბინის შესახებ მომხსენელი აცხადებს, რომ საჭიროა საბოლოოთ გამოკვლევა ბინის შესახებ, კოლექტივი რჩება თუ არა თავის ალაგას ან იღებთ თუ არა ნათხოვ ბინას. კოლექტივი ირჩევს 4 კაცისაგან კომისიას და ავალებს ქალაქის თავთან მოლაპარაკებას. ამხ. ალიხანოვი აცხადებს ს. ს. დ. მ. პ. სომხურ სექციის სახელით, რომ სექციას დაუწყია ყოველკვირეული სომხური გაზეთის გამოცემა, და აღნიშნავს, რომ სექციას მოუწყვია ოგრეთვე პროვინციებში იდეური მუშაობა და სხვა. კოლექტივი მოხსენებით კმაყოფილი რჩება.

მდივანი.

— —

თფილისი. 18 ენკენისთვეს შესდგა ვერის მუშათა კლუბში მეოთხე რაიონის ქალთა ს. დ. ორგანიზაციის კრება. კრების მიზანი იყო ქალთა ორგანიზაციის ახალი კოლექტივის არჩევა და სხვა საკითხები. მომხსენებლად იყო ამბ. რ. არსენიძე. თემა იყო: ქალთა საკითხი. აირჩიეს თითო სამეფლიერო უბნიდან ორ ორი ქალი. X.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

საგარეჯო. 14 სექტემბერს, სოფ. საგარეჯოში მოხდა ადგილობრივ თემის ხმოსანთა ყრილობა. ყრილობა ეს მეოთხეთ იქნა მოწვეული, ყოფილ საბჭოს თავმჯდომარის აქ არ ყოფნის გამო. საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ლევან ასათიანი, მდივნად ე. ახარაშვილი. განსახილველი იყო სხვადასხვა საერბოროტო საკითხები და ძველი გამგეობის გადაყენება და ახლის არჩევა. ძველი გამგეობიდამ ახალს გამგეობაში დარჩა მარტო ვას. კანჯარაშვილი, ლ. ნადირაძე, ზაქრო ჯაფარიძე. მიხ. დაფქვიაშვილმა და ვ. ახარაშვილმა უარი განაცხადეს და გადადგნენ. ახ ლს გამგეობაში გავიდნენ ბადრიძე, ვ. ვ. მეტდლიშვილი—აგრონომი. გამგეობამ პირველი ყურადღება სოფლიდან სოფელში გზის გაკეთებას უნდა მიაქციოს, რომელიც აუცილებელია ხალხისათვის და სამართლიანადაც უნდა იქმნას გაკეთებული ძველს გეგმაზე, რომელიც არ უნდა ასცდეს ცენტრს, და სხვა ბევრი ასეთი საქმეები აქვს საკეთებელი. დღეს საგარეჯოში ორგანიზაციული მუშაობა სრულებით მინელებულია. საჭირო მისი განახლება

ვ. დ.

ზუგდიდ-სამტრედიაოს რაიონის კოოპერატივთა კავშირი დაარსდა 1917 წ. ნოემბერს. მარტო ორი წელიწადი სრულდება, რაც ის არსებობს, მაგრამ მიუხედავად ანარქიისა 1918 წ. და უსახსრობისა (საპაიო და საბრუნავი თანხა ჰქონდა სულ 46.000 მ.), მან დიდი ამაგი დასდო ხალხს. 1918 წ. განვლილობაში ის აწვდიდა—90 მომხმარებელ საზოგადოებებს, რომელთაც ის აკავშირებს, სხვადასხვა პირველ საჭიროების საგნებს 50 და 200 პროცენტზე ნაკლებ, ვინემ კერძო ვაჭრები. ამ 1918 წ. მან გაუკეთებია 2 ნახ. მ. ბრუნვა, წმინდა მოგება უნახავს 270,000 მ. აქედან 170,000 მ. გადასდო კულტურულ-განმანათლებელ საქმისთვის. წარეულს კავშირი უფრო ღონიერია. მისი საპაიო თანხა ედრება 300,000 მ. 1919 წ. პირველ ნახევარ წელში უკვე გადაბრუნებია 4 მილ. მანეთის საქონელი. შეიძინა საკუთარი ორ სართულიანი ქვის შენობა კანტორისთვის ქ. ზუგდიდში, ცენტრში ღირებული 200,000 მ.; აქვს საწყობები საერთო საქონლისა 12 განყოფილებით. სენაჟში და ხეთაში რკინის გზასთან აქვს რეზერვუარები ნავთისა 2,000 ფუთისა. ზუგდიდში ერთი რეზერვუარი ბენზინისა 500 ფუთისა და ორიც ნავთისა 1.500 ფ. ასე რომ ამ მაზრაში ვაჭრები ნავთზე სპეკულიაციას ვერ გაბედავენ ვერასოდეს.

კავშირს აქვს წუღების საკუთარი სახელოსნო 12 მუშით და სამი მანქანით, უკვე გ ბ.ნა სასწავლო საკანცელარიო ნივთების წიგნის მაღაზია. ჯერ-ჯერობით ნაღდ თუ ულზე შეძენილი აქვს 300,000 მ. წიგნი. აქვს საკუთარი საბარგო და სამგზავრო ავტომობილი. წლიურმა კრებამ გადასდო 240,000 მ. ზუგდიდის და სამეგრელოს ქაზრებისთვის ზუგდიდში ცენტრალურ სახალხო სახლის გასახსნელად და დაადგინა აგრეთვე ეს სახლი ინყოფებოდეს მუდმივად კავშირის მზრუნველობის ქვეშ. გამგეობის აზრით ასეთი სახლი იქნება მოწყობილი პირველ იანვრამდე, 1920 წ.

ამ წლის სამეურნეო პროგრამაში შედის სხვათა შორის: 1) სახალხო სახლის გახსნა, 2) ერთ თვიანი კოოპერატიული კურსების გახსნა 70 მოწაფით, 3) სასადილო-სასტუმროს (კოოპერატიული) გახსნა. 4) ყველა სოფლებში ბიბლიოთეკების დაარსება კოოპერატივთან, 5) ღორის ძეხვის ქარხნის გახსნა, 6) კრამიტ-აგურის და ფარფორის ქარხნის გახსნა (უკვე შეძენილია მანქანები). როგორც სჩანს კავშირს დიდი მიზნები დაუსახავს, რასაც დარწმუნებული ვართ განახორციელებს. კავშირში თანამშრომელთა რიცხვი 32 კაცია. მათში ოთხი ინსტრუქტორი. მათ აქეთ მოსამსახურეთა საბჭო, რომელიც ითვლება ერთ-ერთ კულტურულ ძალად კავშირთან ერთად მთელს რაიონში.

კოოპერატორი.

ᲜᲐᲠ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

(დია წერილი)

დასავლეთ საქართველოს ფერშალთა და ბებია ქალთა პროფესიონალურ კავშირის მიერ შესდგა ეგრედ წოდებული „სინიდისის სასამართლო“, რომელიც ირკვევს ფერშალ თედორე ჯინჭარაძის პროგენებას. ამიტომ მიგმართამ ქვემოხენებულ პირებს, რომ მოიხადონ თავიანთი ზნეობრივი და მოქალაქობრივი მოვალეობა: წერილობით აცნობონ ყოველივე სინამდვილე, რაც კი იციან ფერშალ თედორე ჯინჭარაძის შესახებ: 1) ობოლ მუშას 2) ობოლი მუშის მეუღლეს აგრაფინე თავაძისას, 3) ი. ჭოჭია ჩიქოვანს, 4) ვასიკო წიკვიკაძეს, 5) ნიკო კუბალეიშვილს და 6) ზ. ჩიკილაძეს. წერილი გაიგზავნება შემდეგ მისამართით: ქუთაისის სულით ავადმყოფთა თავშესაფართა შენობაში. ფერშალთა პროფესიონალურ გამგეობას.

ი. არაშიძე.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲛᲝᲒᲘᲡᲐ

ლა საშუალო სასწავლებლის სხვადასხვა კლასებისათვის ამბადის სახელმწიფო გიმნაზიების მახწავლებელთა ჯგუფი მისამართი: ელისაბედის ქ., № 142, ბინა სამსონიასი, ანუ ალექსანდროვის ქ., № 45, კორძახია, გველესიანი. საღამოს 4—6 საათ.

ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

მე 27-დე წელი

ი. ა. როზენბერგისა.

სპეციალურად კავკასიური ცეკვა. აგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე ნიკოლოზის ქ. № 101. (5—5)

ᲘᲔᲘᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲮᲚᲐᲚᲢᲔᲠᲘᲐ

ს. ᲢᲐᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

წერა კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იბეჭდება ს. ტარუაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

კბილის ექიმი

Ე. Მ. ᲑᲘᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲡᲐᲙᲘᲐᲜᲘ

იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲯᲐᲙᲘᲠᲘᲫᲔ

მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მოხეილის ქუჩ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ᲚᲔ. Ა. ᲮᲐᲒᲐᲚᲘᲫᲔ.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ᲓᲐ. Შ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲚᲘ.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის ქუჩ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46

ექიმი Თ. Გ. ᲛᲣᲨᲐᲫᲔ.

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი Შ. ᲤᲐᲨᲕᲠᲐᲫᲔ

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშლაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და სამარდენ ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—12 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ᲥᲐᲚᲚᲘ Მ. Გ. ᲨᲕᲔᲓᲚᲝ-ᲡᲐᲮᲐᲠᲝᲕᲘᲚᲘ

ფ�იციონის დოქტორი ფენეზის ფინიერ ოფიციალისა და ფინინბურგის მედიკურ ქირურგიული კოლეგიისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბაბიო დარიგებას სიფილიზის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი ᲘᲝᲡᲔᲑ ᲠᲐᲯᲓᲔᲜᲘᲫᲔ ᲫᲔ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი Გ. Გ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ლეზულობს შინაგან, ყურის, ყელის ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს ღილის 12—1 ს. საათ. საღამოს 5-6 საათ. მისამართი: ზაგანოვის ქუჩა. 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ლეფონი 16—85.

ექიმი Გ. Შ. [illegible]

ქალისა და საფეხელ-ქირ. ავადმყოფებ მიღება ყოველ-დღე საღ. 6—7 [illegible] 12—75.

ექიმი Შ. [illegible]

[illegible] ავადმყოფობა, ტენეზის [illegible] ტრო-ჭამლობის კაბინეტში; [illegible] ... ბინაგანი ავადმყოფობა, ტენეზის [illegible] ... ბინაგანი ... ტენეზის [illegible] ... ტენეზის [illegible] ... ტენეზის [illegible]